	3	ადგ.დაჭრით	14A500c	-	-	1050	14A500c	1106	1336	
	5	ადგ.დაჭრით	22A500c	-	-	47	22A500c	47	141	
	6	350 350 450 450	8A240c	1600	40	64	ჯამი:		1536	
	7	2000	14A500c	2000	28	56				

დამკვეთი:	შ.პ.ს. თეგეტა მოტორსი
ობიექტის მისამართი:	
ფუნქციური დანიშნულება	,,porsche"-ს სერვის ცენტრის შენობის პროექტი

თარიღი	მასშტაბი	ფურცლის ზომა
2022 წ		A3.
პროექტი	ფურცლის №	კ-48
ნახაზი	შოურომის ანტრესოლის ფილა	

სტადია: პროექტის შეთანხმება/მშენებლობის ნებართვა

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ი. ურუშაძე	
მთ. არქიტექტორი	ა.ახალბედაშვილი	
კონსტრუქტორი	თ. ბუსკივაძე	
შეასრულა	დ. ბარბაქაძე	დ.ბარბაქაძე

შ.პ.ს გრავიტა
ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ

Gravita construction

საკომუნიკაციო მონოლითური ჭისთვისთვის საძირკვლის გეგმა



ჭრილი 1-1



მასალების სპეციფიკაცია და ამოკრება 1 ჭაზე

ელემენ-ტის. დასახე-ლება		არმატურის სპეციფიკაცია					არმატურის ამოკრება			ბეტ.მოც $მ^3$
		ესკიზი	⌀, მმ.	L, მმ.	n, ც.	nxL მ.	D, მმ.	Σ nxL, მ.	Q, კგ.	
საკომუნიკაციო ჭა	1	ალგ. დაჭრით	12A500c	–	–	216.0	12A500c	216.0	192.0	B25; V=2.2
							ჯამი:		192.00	
							ღორღი (0-40):		0.5 $მ^3$	

შენიშვნები:

1. საკუმუნიკაციო ჭის ზუსტი ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიბმა იხ. პროექტის ტექნოლოგირ ნაწილში
2. ფუძე გრუნტის მახასიათებლები იხ. განმარტებით ბარათში
3. ჰიდროიზოლაციის ტიპის არჩევა მოხდეს პროექტის ინჟინერის მიერ
4. ჭის საკომუნიკაციო ღიობების ზუსტი ზომები და მიბმები აღებული იქნას პროექტის ტექნოლოგიური ნახაზებიდან, გადამოწმდეს ადგილზე მონტაჟამდე და შეთანხმდეს ტექნოლოგთან.

დამკვეთი:	შ.პ.ს. თეგეტა მოტორსი	
ობიექტის მისამართი:		
ფუნქციური დანიშნულება		
,,porsche"-ს სერვის ცენტრის შენობის პროექტი		
თარიღი 2022 წ	მასშტაბი	ფურცლის ზომა A3.
პროექტი	ფურცლის №	კ-49
ნახაზი	საკომუნიკაციო ჭის რკბ კაფსულა	
სტადია: პროექტის შეთანხმება/მშენებლობის ნებართვა		
თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ი. ურუშაძე	
მთ. არქიტექტორი	ა.ახალბედაშვილი	
კონსტრუქტორი	თ. ბუსკივაძე	
შეასრულა	დ. ბარბაქაძე	

შ.პ.ს გრავიტა
ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ

საკომუნიკაციო ჭის სადგამი რკბ ფილა



ჭრილი 1-1



შენიშვნები:

1. საკუმუნიკაციო ჭის ზუსტი ვერტიკალური და ჰორიზონტალური მიბმა იხ. პროექტის საინჟინრო ნაწილში
2. ფუძე გრუნტის მახასიათებლები იხ. განმარტებით ბარათში

მასალების სპეციფიკაცია და ამოკრება 1 ჭაზე

ელემენ-ტის. დასახე-ლება		არმატურის სპეციფიკაცია					არმატურის ამოკრება			ბეტ.მოც მ³
		ესკიზი	ø, მმ.	L, მმ.	n, ც.	nxL მ.	D, მმ.	Σ nxL, მ.	Q, კგ.	
საკომუნიკაციო ჭის სადგამი რკბ ფილა	1	ადგ. დაჭრით	12A500c	–	–	60.0	12A500c	60	53.0	B25; V=0.8
	2	40⌊120⌋40	8A240c	200	10	2.0	8A240c	2	1.0	
								ჯამი:	54.0	
							ღორღი:		0.4 მ³	

დამკვეთი:	შ.პ.ს. თეგეტა მოტორსი
ობიექტის მისამართი:	
ფუნქციური დანიშნულება	
,,porsche"-ს სერვის ცენტრის შენობის პროექტი	

თარიღი	მასშტაბი	ფურცლის ზომა
2022 წ		A3.
პროექტი	ფურცლის №	კ-50
ნახაზი	საკომუნიკაციო ჭის სადგამი რკბ ფილა	

სტადია: პროექტის შეთანხმება/მშენებლობის ნებართვა

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა
დირექტორი	ი. ურუშაძე	
მთ. არქიტექტორი	ა.ახალბედაშვილი	
კონსტრუქტორი	თ. ბუსკივაძე	
შეასრულა	დ. ბარბაქაძე	

შ.პ.ს გრავიტა

ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ

Gravita construction

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე (№129-ში), შპს „თეგეტა მოტორსი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. № 01.72.14.013.442) დაპროექტებული „ Porsche“-ს სერვის ცენტრის შენობის კომპიტერული სივრცული საანგარიშო მოდელი და ანგარიშის შედეგები

(კორექტირებული)

თბილისი 2022

<u>განმარტებითი ბარათი</u>

წინამდებარე განმარტებით ბარათში წარმოდგენილია ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე (№129-ში) „თეგეტა მოტორსი“-ის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №01.72.14.013.442) დაპროექტებული „ Porsche“-ს სერვის ცენტრის შენობის კომპიუტერული სივრცული საანგარიშო მოდელი და ანგარიში შედეგები. (კორექტირებული)

გეოლოგიური დასკვნა შედგენილია შ.პ.ს. „ კირკიტაძე და კომპანია“ ინჟინერ- გეოლოგის . თ. კვეტენაძის მიერ.

შენობის არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტი დამუშავებულია შ.პ.ს. „გრავიტა“ -ს მიერ დირექტორი რ. ესართია, არქიტექტორი ა. ახალბედაშვილი, კონსტრუქტორი დ. ბარბაქაძე. შენობის საანგარიშო კომპიუტერული სივრცული მოდელი შედგენილი იქნა: პროექტის არქიტექტურული ნაწილის, გეოლოგიურ დასკვნის მონაცემების და საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების გათვალისწინებით .

შენობის გეგმარებითი პარამეტრები: ორსართულიანი შენობა გეგმაში მართკუთხა ფორმისაა, ზომით ღერძებში 23X36.0 მეტრი. შენობის პირველი სართულის სიმაღლე 5.5მ-ია, მეორე სართულის სიმაღლე 2.9მ. შენობის მზიდი კარკასი მონოლითური რკინაბეტონისაა. ამასთანავე შენობა გაყოფილია 2 ნაწილად, რკინაბეტონის კარკასი A და B ღერძებს შორის და მეტალოკონსტრუქციების კარკასული ბლოკი B*-H ღერძებში, რომლის დამამზადებელია თურქული კომპანია „Tekmetsan Demir Çelik“.

შენობას რკინაბეტონის ნაწილში აქვს ბრტყელი სახურავი. მეტალობლოკის ნაწილში კი ორქანობიანი. პირველი სართულის იატაკი მეტალობლოკის ნაწილში ახალი ვარიანტით მონოლითურია, ფილის სისქე $H_ფ$=600მმ.

რკინა ბეტონის კარკასის მზიდე ელემენტებია: მონოლოთური სვეტები ზომით 400X400 მმ, კოჭები 400X400მმ, 400X600მმ, გადახურავის ფილები 160მმ და 200მმ, შენობის კარკასიდან დატვირთვები გადაეცემა მონოლითურ რკინა ბეტონის ფილას სისქით 500მმ, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა არსებულ რკინა ბეტონის 6მ სიგრძის ხიმინჯებს. ხიმინჯები კოლონების მიმართ აცდენილად არის განლაგებული.

ლითონის კარკასის ჩარჩოს სვეტებად შერჩეულია, (განაპირა ღერძებზე) IPE500 ნიშანდების ორტესებრი პროფილები, შიდა ღერძებზე HEA220 ნიშანდების ორტესებრი პროფილები, გადახურვის კოჭებად განივი მიმართულებით და სახურავის კოჭებად შერჩეულია IPE360 ნიშანდების ორტესებრი პროფილები, ხოლო გრძივი მიმართულებით შერჩეულია IPE200 და IPE270 ნიშანდების ორტესებრი პროფილები. სახურავის გრძივებად გამოყენებულია CC200-3-22-85 ნიშანდების გაღუნული პროფილები. სართულშუა გადახურვა შესრულებულია ლითონის პროფფენილზე მოწყობილი ე.წ. „ლითონრკინაბეტონის“ ფილით.

გეოლოგიური დასკვნის მიხედვით ტერიტორიაზე გავრცელებულია 2 ფენა;

ფენა 1 ნაყარი.

ფენა 2 -ნახევრადმყარი თიხნარები ρ=2.06გ/სმ^3; C=0.38 კგძ/სმ^2; φ=24.6; E=319კგძ/სმ^2; R_0=2.8კგძ/სმ^2.

გეოლოგიური დასკვნაში მოცემული გრუნტების ფიზიკი-მექანიკური მახასიათებლები გამოყენებულია ფუძეგრუნტის საგები კოეფიციენტების გამოსათვლელად.

შენობის ქვეშ მთელ პერიმეტრზე უნდა მოიჭრას ნაყარი გრუნტის ფენა მთელ სიღრმეზე და შეივსოს ფენაფენა დატკეპნილი ბალასტით ამ შემთხვევაში ფუძის საანგარიშო წინაღობა შეიძლება იყოს R_0=3. კგძ/სმ.

1 ფენა საძირკვლის ფუძედ არ განიხილება, შენობის ფუძე არის ფენა 2 ნახევრადმყარი თიხნარზე დატკეპნილი ბალასტი, ვინაიდან ტერიტორია არ არის სწორი საძირკვლის მოწყობის დროს ყურადღება უნდა მიექცეს იმას რომ საძირკვლის ფილა არ აღმოჩნდეს ნაყარი გრუნტის ფენაზე, თუ აღმოჩნდება მაშინ ნაყარი გრუნტი უნდა მოიჭრას და შეივსოს ეს ადგილი ბალასტით და დაიტკეპნოს.

საძირკვლის ფუძე გრუნტზე შენობიდან გადმოცემული დატვირთვების ჯამური მნიშვნელობა არ აღემატება ფენა 2-ის საანგარიშო წინარობას 2.8კგძ/სმ^2.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით დადგენილია, რომ სამშენებლო მოედანი განლაგებულია **8 ბალიანი** სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით **(A=0.21);** გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - **II**.

სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - **85კგძ/მ²** (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - **50კგძ/მ²** (14დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

შენობისა და მისი მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცითი სისტემის გაანგარიშება კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში შესრულდა სტატიკურ და დინამიკურ (სეისმურ) ზემოქმედებაზე სერტიფიცირებული და ლიცენზირებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის **LIRA сапр 2015 R3**-ის გამოყენებით (შესყიდვის სალიცენზიო ნომერი №92095856).

კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში სტატიკური და დინამიკური ზემოქმედებები წარმოდგენილია შემდეგი დატვირთვების სახით:

1) **მუდმივი *(სტატიკური)* დატვირთვა:** (რკ.ბ-ის საკუთარი წონა + იატაკის „სენდვიჩის„ წონა + *გარე შემომფარგველი და ბიწების გამყოფი კედლების დატვირთვა).*

შენიშვნა: *კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში არამზიდი კოსტრუქციების წონები შესულია არქიტექტურულ ნახაზებში ნაჩვენები მასალებისა და მათი სისქეების შესაბამისად დატვირთვების მიხედვით და საიმედობის კოეფიციენტების გათვალისწინებით. გარე კედლების და ტიხრების წონები(სენდვიჩპანელები): ხაზოვანი 0,025-0.15, 0.25,ტ/გრძმ. ფართზე განაწილებული 0.10, 0.15, 0.18, 0,3, 1.0ტ/მ2*

2) **დროებითი ხანგრძლივი *(სტატიკური)* დატვირთვები:** (*ბიწების შიგნითა ტიხრების დატვირთვები* **დანატვარები**) *0.15 ტ/მ2. 0.35 ტ/მ2. 0.75 ტ/მ2.*

3) **ხანმოკლე *(სტატიკური)* დატვირთვები:**

ა) *დროებითი სასარგებლო დატვირთვები* СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»- ის მიხედვით. 0.24, 0.3, 0.36, 0.75. 1,0 ტ/მ2

დ) *თოვლის დატვირთვა; 0.07ტ/მ2.*

4) სეისმური ზემოქმედება კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში შესრულდა სპექტრული მეთოდით სეისმური თვისებებით II კატეგორიის გრუნტისათვის 8 ბალიან სეისმურ ზემოქმედებაზე: შემდეგი კოეფიციენტების გათვალისწინებით: A=0.17, k_1=0.35, k_2=1, k_3=1., გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით II.

ა) სეისმური ზემოქმედება „X„ მიმართულებით

ბ) სეისმური ზემოქმედება „Y„ მიმართულებით

ც) სეისმური ზემოქმედება „Z„ მიმართულებით

გ) სეისმური ზემოქმედება დიაგონალური „45„ მიმართულებით.

სეისმური ზემოქმედება დიაგონალური „135„ მიმართულებით.

კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში შენობების მზიდ კონსტრუქციებში ძალვათა თანწყობისას გათვალისწინებული იქნა შემდეგი კომბინაციები:

ა) **ძირითადი თანწყობა:**

1. (მუდმივი) + (დრ. ხანგრძლივი)
2. (მუდმივი) + (დრ. ხანმოკლე)
3. (მუდმივი) + 0.95*(დრ. ხანგრძლივი) + 0.9*(დრ. ხანმოკლე დატვირთვები)

ბ) **განსაკუთრებული თანწყობა:**

0.9* (მუდმივი) + 0.8*(დრ. ხანგრძლივი) + 0.5*(დრ. სასარგებლო ხანმოკლე) + 1*(ერთ-ერთი სეისმური ან ქარის პულსაციური ერთ-ერთი დატვირთვა)

შენობის გაანგარიშება შესრულებულია ქართული სეისმიური ნორმების მიხედვით.

შენობის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის ანალიზისას მიღებული შედეგები:

შენობის საკუთარი რხევის პერიოდები: Iფ - **1.479721**წმ; IIფ - **1.009784**წმ; IIIფ - **0.866308**წმ;

სეისმური ზემოქმედების ანგარიშისას ე.წ ,,მასების მონაწილეობის ფაქტორი,, - 88%

შენობის ,,დინამიკური პარამეტრების,, განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა საკუთარი რხევის 52ფორმა.

შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური დეფორმაციები დატვირთვათა განსაკუთრებული შეხამებისას სეისმური ზემოქმედების გათვალისწინებით: (რკინა ბეტონის ნაწილი)

„**X**„ მიმართულებით - 18.9მმ

„**Y**„ მიმართულებით - 35.0მმ

მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მთლიანად არქიტექტურულ-გეგმარებით გადაწყვეტილებათა საფუძველზე შედგენილი კომპიუტერული მოდელის გაანგარიშებათა შედეგები აკმაყოფილებს მდგრადობის, სიმტკიცის და დეფორმაციის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს.

ანგარიში შესრულებულია ქვეყანაში მოქმედი შემდეგი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად:

1) პნ 01.05-08 „სამშენებლო კლიმატოლოგია” 2) პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა” *(СНиП II-7-81* Строительство в сейсмических районах)*

3) პნ 03.01-09 „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები” *(СНиП 2.03.01.84 Бетонные и железобетонные конструкции),*

4) პნ 02.01-08 „შენობისა და ნაგებობის ფუძეები” 5) СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»

6) СНиП II-23-81*. «Стальные конструкции» 7) СНиП 2.02.03-85 Свайные фундаменты.

ინჟინერ კონსტრუქტორი ნ.ქავთარაძე.

საანგარიშო სქემა

MUDMIVI



საანგარიშო სქემა გეგმაში

MUDMIVI





შენობის იზომეტრიული ხედი

porshes centri KOR1.l3d



მიწიქვეშა ნაწილის იზომეტრია

porshes centri KOR.l3d



პირველი დონე იზომეტრია

porshes centri KOR1.l3d



მეორე დონე იზომეტრია

porshes centri KOR1.l3d



ხიმინჯები, კოლონების და რიგელების ურთიეთკავშრი (კარკასი)

porshes centri KOR.l3d



ლითონის კარკასი

porshes centri KOR.l3d



შენობის დეფორმაციები მასზე მოქმედი ვერტიკალური და დინამიური დატვირთვებისაგან, დატვირთვების განსაკუთრებული შეხამება, **სეისმიკა X ღერძის გასწვრივ.**



შენობის დეფორმაციები მასზე მოქმედი ვერტიკალური და დინამიური დატვირთვებისაგან, დატვირთვების განსაკუთრებული შეხამება, **სეისმიკა X ღერძის გასწვრივ.**



შენობის დეფორმაციები მასზე მოქმედი ვერტიკალური და დინამიური დატვირთვებისაგან, დატვირთვების განსაკუთრებული შეხამება, **სეისმიკა X ღერძის გასწვრივ.**



შენობის დეფორმაციები მასზე მოქმედი ვერტიკალური და დინამიური დატვირთვებისაგან, დატვირთვების განსაკუთრებული შეხამება, **სეისმიკა Yღერძის გასწვრივ.**



შენობის დეფორმაციები მასზე მოქმედი ვერტიკალური და დინამიური დატვირთვებისაგან, დატვირთვების განსაკუთრებული შეხამება, **სეისმიკა Y ღერძის გასწვრივ.**



შენობის დეფორმაციები მასზე მოქმედი ვერტიკალური და დინამიური დატვირთვებისაგან, დატვირთვების განსაკუთრებული შეხამება, **სეისმიკა Y ღერძის გასწვრივ.**



შენობის დეფორმაციები მასზე მოქმედი ვერტიკალური და დინამიური დატვირთვებისაგან, დატვირთვების განსაკუთრებული შეხამება, **სეისმიკა XY ღერძის გასწვრივ.**



შენობის დეფორმაციები მასზე მოქმედი ვერტიკალური და დინამიური დატვირთვებისაგან, დატვირთვების განსაკუთრებული შეხამება, **სეისმიკა X Yღერძის გასწვრივ.**



შენობის დეფორმაციები მასზე მოქმედი ვერტიკალური და დინამიური დატვირთვებისაგან, დატვირთვების განსაკუთრებული შეხამება, **სეისმიკა X Yღერძის გასწვრივ.**



საგების კოეფიციენტი C_1



MUDMIVI
Мозаика C1z
Единицы измерения - т/м**3





საგების კოეფიციენტი C_2



საძირკვლის ფილის ვერტიკალური დეფორმაციები მასზე მოქმედი ვერტიკალური და დინამიური დატვირთვებისაგან, დატვირთვების განსაკუთრებული შეხამება, სეისმიკა X ღერძის გასწვრივ.



საძირკვლის ვერტიკალური დეფორმაციები მასზე მოქმედი ვერტიკალური და დინამიური დატვირთვებისაგან, დატვირთვების განსაკუთრებული შეხამება, სეისმიკა Yღერძის გასწვრივ.



საძირკვლის ვერტიკალური დეფორმაციები მასზე მოქმედი ვერტიკალური და დინამიური დატვირთვებისაგან, დატვირთვების განსაკუთრებული შეხამება, სეისმიკა X Yღერძის გასწვრივ.



საძირკვლის ფილაზე მოქმედი გრუნტის Rz რეაქცია დატვირთვათა განსაკუთრებული შეხამებისას სეისმიკა X ღერძის გასწვრივ.



საძირკვლის ფილაზე მოქმედი გრუნტის Rz რეაქცია დატვირთვათა განსაკუთრებული შეხამებისას სეისმიკა Yღერძის გასწვრივ.



საძირკვლის ფილაზე მოქმედი გრუნტის Rz რეაქცია დატვირთვათა განსაკუთრებული შეხამებისას სეისმიკა X Yღერძის გასწვრივ.



შენობის ძირითადი მზიდი, კონსტრუქციული ელემენტების, არმირების შედეგები, არმირების საჭირო ფართი გამოთვლილია ბეტონი B25 და არმატურა A500C კლასის მასალების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლების გათვალისწინებით.

ხიმინჯების არმირება მუშა არმატურის ფართი



Площадь полной арматуры AS1 . Несимметричное армирование . Максимум 23.54 в элементе 46315.

ხიმინჯების არმირება განივი არმატურის ფართი



Площадь полной арматуры ASW1 . Шаг 100 см. Несимметричное армирование . Максимум 0.16 в элементе 46322.

კოლონების არმირება გრძივი მუშა არმატურის ჯამური ფართი პირველი სართული.



Площадь полной арматуры AU1 AU2 AU3 AU4 AS1 AS2 AS3 AS4 . Симметричное армирование . Максимум 29.80 в элементе 14328.

კოლონების არმირება, განივი არმატურის ჯამური ფართი Xღერძის გასწვრივ პირველი სართული.



Площадь полной арматуры ASW2 . Шаг 100 см. Симметричное армирование . Максимум 1.76 в элементе 8355.

კოლონების არმირება, განივი არმატურის ჯამური ფართი. Yღერძის გასწვრივ პირველი სართული. .



Площадь полной арматуры ASW1 . Шаг 100 см. Симметричное армирование . Максимум 5.68 в элементе 14328.

კოლონების არმირება გრძივი მუშა არმატურის ჯამური ფართი მეორე სართული.



Вариант конструирования:Вариант 1
Расчет по РСУ (ТСН 102-00*)
Единицы измерения - см**2
Шаг, Диаметр - мм



Площадь полной арматуры AU1 AU2 AU3 AU4 AS1 AS2 AS3 AS4 . Симметричное армирование . Максимум 37.80 в элементе 7621.

კოლონების არმირება, განივი არმატურის ჯამური ფართი Х ღერძის გასწვრივ მეორე სართული.



Площадь полной арматуры ASW2 . Шаг 100 см. Симметричное армирование . Максимум 9.51 в элементе 7621.

კოლონების არმირება, განივი არმატურის ჯამური ფართი. Y ღერძის გასწვრივ მეორე სართული.



Площадь полной арматуры ASW1 . Шаг 100 см. Симметричное армирование . Максимум 9.46 в элементе 7621.

კოჭების არმირება +5.5 ნიშნულზე. ქვედა შრეში გრძივი მუშა არმატურის ჯამური ფართი.



Площадь полной арматуры AU1 AU2 AS1 AS4 . Несимметричное армирование . Максимум 11.52 в элементе 3623.

კოჭების არმირება +5.5 ნიშნულზე. ზედა შრეში გრძივი მუშა არმატურის ჯამური ფართი.



Площадь полной арматуры AU3 AU4 AS2 AS3 . Несимметричное армирование . Максимум 10.85 в элементе 3558.

კოჭების არმირება +5.5 ნიშნულზე. თარაზული განივი არმატურის ჯამური ფართი.



Площадь полной арматуры ASW2 . Шаг 100 см. Несимметричное армирование . Максимум 6.51 в элементе 47313.

კოჭების არმირება +5.5 ნიშნულზე. ვერტიკალური განივი არმატურის ჯამური ფართი.



Площадь полной арматуры ASW1 . Шаг 100 см. Несимметричное армирование . Максимум 9.14 в элементе 47313.

კოჭების არმირება +8.1 +8.4 ნიშნულზე. ქვედა შრეში გრძივი მუშა არმატურის ჯამური ფართი.



Площадь полной арматуры AU1 AU2 AS1 AS4 . Несимметричное армирование . Максимум 8.76 в элементе 6509.

კოჭების არმირება ++8.1 +8.4 ნიშნულზე. ზედა შრეში გრძივი მუშა არმატურის ჯამური ფართი.



Площадь полной арматуры AU3 AU4 AS2 AS3 . Несимметричное армирование . Максимум 7.33 в элементе 7142.

კოჭების არმირება ++8.1 +8.4 ნიშნულზე. თარაზული განივი არმატურის ჯამური ფართი.

Площадь полной арматуры ASW2 . Шаг 100 см. Несимметричное армирование . Максимум 4.29 в элементе 7068.

კოჭების არმირება ++8.1 +8.4 ნიშნულზე. ვერტიკალური განივი არმატურის ჯამური ფართი.

Площадь полной арматуры ASW1 . Шаг 100 см. Несимметричное армирование . Максимум 4.35 в элементе 7068.

საძირკვლის ფილა -0.1 ნიშნულზე მონოლითურ ნაწილში



Площадь полной арматуры на 1пм по оси X у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 36820

საძირკვლის ფილა -0.1 ნიშნულზე მონოლითურ ნაწილში



Площадь полной арматуры на 1пм по оси Y у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 39685

საძირკვლის ფილა -0.1 ნიშნულზე მონოლითურ ნაწილში



Площадь полной арматуры на 1пм по оси X у верхней грани, максимум в элементе 18957

საძირკვლის ფილა -0.1 ნიშნულზე მონოლითურ ნაწილში



Площадь полной арматуры на 1пм по оси Y у верхней грани, максимум в элементе 39643

საძირკვლის ფილა -0.1 ნიშნულზე მეტალობლოკის ნაწილში



Площадь полной арматуры на 1пм по оси X у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 19704

საძირკვლის ფილა -0.1 ნიშნულზე მეტალობლოკის ნაწილში



Площадь полной арматуры на 1пм по оси Y у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 35887

საძირკვლის ფილა -0.1 ნიშნულზე მეტალობლოკის ნაწილში



საძირკვლის ფილა -0.1 ნიშნულზე მეტალობლოკის ნაწილში



კაფსულების, ლიფტის შახტის , გამწოვების ძირის არმირება.



Площадь полной арматуры на 1пм по оси X у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 36741

კაფსულების, ლიფტის შახტის , გამწოვების ძირის არმირება.



Площадь полной арматуры на 1пм по оси Y у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 36741

კაფსულების, ლიფტის შახტის , გამწოვების ძირის არმირება.



კაფსულების, ლიფტის შახტის , გამწოვების ძირის არმირება.



Площадь полной арматуры на 1пм по оси Y у верхней грани, максимум в элементе 36741

კაფსულა 3 და 4 ის ჩაწეული ფილის არმირება



კაფსულა 3 და 4 ის ჩაწეული ფილის არმირება



კაფსულა 3 და 4 ის ჩაწეული ფილის არმირება



კაფსულა 3 და 4 ის ჩაწეული ფილის არმირება



კაფსულების, ლიფტის შახტის , გამწოვების კედლების არმირება.



Площадь полной арматуры на 1пм по оси X у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 47237

კაფსულების, ლიფტის შახტის , გამწოვების კედლების არმირება.



Площадь полной арматуры на 1пм по оси X у верхней грани, максимум в элементе 47233

კაფსულების, ლიფტის შახტის , გამწოვების კედლების არმირება.



Площадь полной арматуры на 1пм по оси Y у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 47232

კაფსულების, ლიფტის შახტის , გამწოვების კედლების არმირება.



Площадь полной арматуры на 1пм по оси Y у верхней грани, максимум в элементе 47233

გადახურვის ფილის არმირება +5.5 ნიშნულზე



Площадь полной арматуры на 1пм по оси X у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 1273

გადახურვის ფილის არმირება +5.5 ნიშნულზე



Площадь полной арматуры на 1пм по оси Y у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 65

გადახურვის ფილის არმირება +5.5 ნიშნულზე



Площадь полной арматуры на 1пм по оси X у верхней грани, максимум в элементе 66

გადახურვის ფილის არმირება +5.5 ნიშნულზე



Площадь полной арматуры на 1пм по оси Y у верхней грани, максимум в элементе 274

გადახურვის ფილის არმირება ++8.1 +8.4 ნიშნულზე



Площадь полной арматуры на 1пм по оси X у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 3845

გადახურვის ფილის არმირება ++8.1 +8.4 ნიშნულზე



Площадь полной арматуры на 1пм по оси Y у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 5609

გადახურვის ფილის არმირება ++8.1 +8.4 ნიშნულზე



Площадь полной арматуры на 1пм по оси X у верхней грани, максимум в элементе 7034

გადახურვის ფილის არმირება +8.1 +8.4 ნიშნულზე



Площадь полной арматуры на 1пм по оси Y у верхней грани, максимум в элементе 3971

კედლი და პარაპეტი



Площадь полной арматуры на 1пм по оси X у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 8017

კედლი და პარაპეტი



Площадь полной арматуры на 1пм по оси X у верхней грани, максимум в элементе 7994

კედლი და პარაპეტი



Площадь полной арматуры на 1пм по оси Y у нижней грани (балки-стенки - посередине); максимум в элементе 18992

კედლი და პარაპეტი



Площадь полной арматуры на 1пм по оси Y у верхней грани, максимум в элементе 8291

შიდა კიბის ლითონის ელემენტების შემოწმება სიმტკიცეზე



Мозаика результатов проверки назначенных сечений по 1 предельному состоянию

შიდა კიბის ლითონის ელემენტების შემოწმება დეფორმაციაზე



Мозаика результатов проверки назначенных сечений по 2 предельному состоянию

შიდა კიბის ლითონის ელემენტების შემოწმება ადგილობრივ მდგრადობაზე



Мозаика результатов проверки назначенных сечений по местной устойчивости

გარე კიბის ლითონის ელემენტების შემოწმება სიმტკიცეზე



Мозаика результатов проверки назначенных сечений по 1 предельному состоянию

გარე კიბის ლითონის ელემენტების შემოწმება დეფორმაციაზე



Мозаика результатов проверки назначенных сечений по 2 предельному состоянию

გარე კიბის ლითონის ელემენტების შემოწმება ადგილობრივ მდგრადობაზე



Мозаика результатов проверки назначенных сечений по местной устойчивости

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე (№129-ში), შპს „თეგეტა მოტორსი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. № 01.72.14.013.442) დაპროექტებული „Porsche“-ს სერვის ცენტრის შენობის პროექტის ფუძეებზე, საძირკვლებსა და სხვა ძირითად კონსტრუქციებზე

ქ. თბილისი 2022 წლის 30 იანვარი

დავალების თანახმად ექსპერტიზა ჩაუტარდა ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე (საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129), შპს „თეგეტა მოტორსი“-ს (ID ნომერი: 202177205) საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი № 01.72.14.013.442) დაპროექტებული „Porsche“-ს სერვის ცენტრის პროექტის ფუძეებს, საძირკვლებსა და სხვა ძირითად კონსტრუქციებს. საექსპერტო დოკუმენტაცია წარმოდგენილია შემდეგი ნაწილებით (საექსპერტოდ წარმოდგენილი მასალების სისწორესა და აუთენტურობაზე პასუხისმგებელია დამკვეთი):

– არქიტექტურული ნაწილი, დამუშავებულია შპს „გრავიტა“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ. პროექტის მთავარი არქიტექტორი ა. ახალბედაშვილი.

– კონსტრუქციული ნაწილი მუშა პროექტის სახით დამუშავებულია შპს „გრავიტა“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ. პროექტის მთავარი კონსტრუქტორი დ. ბარბაქაძე.

– „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ. №5-ში, ორსართულიანი პორშეს ცენტრის მშენებლობისათვის ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის ანგარიში“. შემსრულებელი შპს „კირკიტაძე და კომპანია“-ს ინჟინერ-გეოლოგი თ. კვეტენაძე.

– ქარხანა დამამზადებლის თურქული კომპანია „Tekmetsan Demir Çelik“-ის მიერ შესრულებული „Porsche“-ს სერვის ცენტრის („PORSHE SERVISE“) ლითონის მზიდი კარკასის კონსტრუქციული სქემები (შემსრულებელი MUHAMMET ATMAKA, დამტკიცებულია IBRAHIM ŞAHIN-ის მიერ).

– „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე (№129-ში), შპს „თეგეტა მოტორსი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. № 01.72.14.013.442) დაპროექტებული „Porsche“-ს სერვის ცენტრის შენობის კომპიუტერული სივრცული საანგარიშო მოდელი და ანგარიშის შედეგები“ (კორექტირებული). შესრულებულია შპს „პროგრესი“-ს პროექტირების საინჟინრო ცენტრში, შემსრულებელი ინჟინერ-კონსტრუქტორი ნ. ქავთარაძე.

საექსპერტო დასკვნა შესრულებულია შპს „ბალავერი“-ს ექსპერტ, ინჟინერ-კონსტრუქტორ, რ. აფხაძის მიერ.

საინჟინრო-გეოლოგიური ანგარიშის მიხედვით ტერიტორიის ლითოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობს ორი ფენა: ნაყარი გრუნტი (ფენა-1), რომელიც ლითოლოგიური ჭრილის მიხედვით გავრცელებულია რელიეფის ზედაპირიდან 1,50 მ. სიღრმემდე და წარმოდგენილია მუქი ყავისფერი, ნახევრადმყარი თიხნარით, ხრეშის და ღორღის 20÷30 %-მდე ჩანართვებით; მოედნის შემდგომი ფენა, I სგე - ყავისფერი, ნახევრადმყარი თიხნარია (ფენა 2), რომლის პირობით საანგარიშო წინარობად გეოლოგის მიერ დაფიქსირებულია Ro=2,8 კგძ/სმ^2 (რაც სავარაუდოდ ან მექანიკური შეცდომაა, ან ძალიან გაზვიადებულია). ექსპერტის მოსაზრებით კონსტრუქტორის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საპროექტო შენობის შრეებად დატკეპნილ ხელოვნური ფუძეზე განთავსების თაობაზე რეალური და ოპტიმალური გადაწყვეტილებაა. საინჟინრო-გეოლოგიურ კვლევაში არ არის დაფიქსირებული სატვირთო ავტომანქანების დიაგნოსტიკის ცენტრის („ბ ბლოკის“) ერთსართულიანი შენობის საძირკვლების გაბარიტული ზომები და ჩაღრმავება (რაც შექმნიდა ნათელ წარმოდგენას არსებული და საპროექტო შენობების საძირკვლების ძირის განლაგების თაობაზე. „ბ“ ბლოკთან მიმართებით საპროექტო საძირკვლების ჩაღრმავება უნდა აკმაყოფილებდეს სამშენებლო ნორმებისა და წესების - „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პნ 02.05-08)-ს მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნას, რომლის გათვალისწინებაც გამორიცხავს არსებულ შენობაზე საპროექტო შენობიდან ძალვების გადაცემას და უზრუნველყოფს არსებული შენობის უსაფრთხოებას), რის გამოც არც არქიტექტურულ და არც კონსტრუქციულ პროექტში არ არის დაზუსტებული საპროექტო შენობის მიბმა არსებულ („ა“ და „ბ“ ბლოკები) შენობებთან. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები დეტალურად იხილეთ პროექტის საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში. გრუნტის წყალი დაძიებულ სიღრმემდე არ გამოვლენილა. სამშენებლო მოედანზე აღებული გრუნტის სინჯები ლაბორატორიულად გამოკვლეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გრ. წულუკიძის სახელობის სამთო-მექანიკის ინსტიტუტის კვლევით გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. გრუნტის ნიმუშების ლაბორატორიული ცდები ჩატარდა გ. ბალიაშვილის ხელმძღვანელობით.

სამშენებლო ნორმებისა და წესების – „სეისმომედეგი მშენებლობა” (პნ 01.01-09)-ს სეისმური საშიშროების რუქის დანართის მიხედვით

მშენებლობისთვის გამოყოვილი უბანი მიეკუთვნება 8-ბალიანი სეისმური ინტენსივობის ზონას, პიკური აჩქარებით A=0,17.

დაპროექტების ნორმების – „სამშენებლო კლიმატოლოგია“-ს მიხედვით კი: (შესაბამისად ცხრილები 17 და 18):

– თოვლის საფარის წონის ნორმატიული მნიშვნელობა შეადგენს – 0,50 კპა-ს (50 კგძ/მ^2).

– ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა შეადგენს – 0,85 კპა-ს (85 კგძ/მ^2), 15-წელიწადში ერთხელ.

საექსპერტოდ წარმოდგენილი პროექტის მიხედვით სერვისცენტრის შენობა გეგმაში მარტივი, სწორკუთხა ფორმისაა, გაბარიტული ზომებით ღერძებს შორის 36,05X23,0 მ. შენობა შედგება ორი ბლოკისაგან, რომლებიც ერთმანეთისგან გამოყოფილნი არიან დეფორმაციული ნაკერით: პირობითად პირველი ბლოკი, „A“ და „B“ ღერძებს შორის შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან, ხოლო პირობითად მეორე ბლოკი, „B$_1$“ და „H“ ღერძებს შორის შესრულებულია თურქული კომპანია „Tekmetsan Demir Çelik“-ის მიერ დამუშავებული ლითონის კარკასით. შენობა ორსართულიანია, პირველი სართულის სიმაღლე 5,50 მ-ია. შენობის სახურავი რკინაბეტონის ნაწილში (პირობითად პირველი ბლიკი) ბრტყელია (რომელშიც მეორე სართულის სიმაღლე გადახურვის ფილის ქვედა ზედაპირამდე 2,40 მ-ია), ხოლო ლითონის კონსტრუქციების ნაწილში (პირობითად მეორე ბლოკი) კი ორქანობიანია (რომელშიც მეორე სართულის შიგა სივრცე ცვალებადსიმაღლიანია). სართულებს შორის კომუნიკაცია ხორციელდება ერთი ორმარშიანი შიგა, ერთი ერთმარშიანი გარე, ლითონის კიბეებით და ერთი სატვირთო ლიფტით.

თითეული ბლოკის კონსტრუქციული სქემა კარკასულია. კარკასის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების, როგორც ერთიანი სივრცული სისტემის გაანგარიშება სტატიკურ და დინამიკურ (სეისმურ) ზემოქმედებაზე შესრულებულია სერტიფიცირებული და ლიცენზირებული კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსის „LIRA sapr 2015 R3“-ის გამოყენებით (შესყიდვის სალიცენზიო ნომერი №92095856). საექსპერტო შეფასებისას შემოწმებულ იქნა კომპიუტერული საანგარიშო მოდელი და კონსტრუქციული ნაწილის მუშა ნახაზები. კომპიუტერულ საანგარიშო მოდელში (სასრულ ელემენტთა მოდელი) გაანგარიშებულ იქნა სტატიკური და დინამიკური დატვირთვების მნიშვნელობები, მათი შეხამებები და ისინი შედარებულ იქნა შესაბამის ნორმატიულ დოკუმენტაციასთან. შემოწმებულ იქნა მიღებული შედეგები და მთლიანად შენობის მოდელის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობა,

რომლის ანალიზით მიღებული შედეგები შემდეგია: შენობის საკუთარი რხევის პერიოდები – $I_ფ$=1,48 წმ; $II_ფ$=1,01 წმ და $III_ფ$=0,87 წმ. შენობის დინამიკური პარამეტრების განსაზღვრისას გათვალისწინებული იქნა საკუთარი რხევის 52 ფორმა. შენობის მაქსიმალური ჰორიზონტალური დეფორმაციები X მიმართულებით – 18,9 მმ-ია, ხოლო Y მიმართულებით კი – 35,0 მმ.

„LIRA sapr 2015 R3“ კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსით ჩატარებული ანგარიშით მიღებული ძალვების მიხედვით შეირჩა ფუძე საძირკვლებისა და სხვა ძირითადი კონსტრუქციების კვეთები და არმირება: შპს „გრავიტა“-ს საპროექტო ჯგუფის მიერ დამუშავებული „ა“ ბლოკის კარკასის ელემენტები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონისაგან. შენობის „ა“ ბლოკი გრუნტზე დაფუძნებულია მონოლითური რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი Ø900 მმ. დიამეტრის კიდული ხიმინჯებითა და მათ თავზე მოწყობილი 500 მმ. სისქის ფილა-როსტვერკით. მონოლითური რკინაბეტონის სვეტების განივი კვეთებია: 400X400 მმ, ხოლო რიგელებისა კი 400X400 და 400X600(h) მმ. მათ გარდა კარკასის ელემენტებად გამოყენებულია მონოლითური რკინაბეტონის კედლელი („A“ ღერძზე) სისქით 200 მმ. და მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა და სასხვენო (რომელზეც უნდა განლაგდეს დანადგარები) გადახურვის ფილები, სისქით შესაბამისად 160 და 200 მმ. შენობის სივრცითი სიხისტე უზრუნველყოფილია კარკასის ელემენტებისა და მონოლითური რკინაბეტონის სართულშუა და სასხვენო გადახურვების ფილების ერთობლივი მუშაობით. შახურავის დონეზე მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის 200 მმ. სისქის პარაპეტი. კონსტრუქციებში გამოყენებულია B25 კლასის ბეტონი, ხოლო არმირება განხორციელებულია A500C არმატურის ღეროებით. საკიდებად გამოყენებულია A240C კლასის გლინულა. ლითონის კიბეებში ჩანებად გამოყენებულია №14 პროფილის შველერის ნაგლინი, ხოლო საფეხურებად კი 4 მმ. სისქის ფოლადის დაღარული ფურცელი. „თეგეტა მოტორსი“-ს სათაო ოფისის შენობაში ეწყობა ერთი ორმარშიანი, მონოლითური რკინაბეტონის კიბე ბაქნით და სართულშუა გადახურვის დონეზე 200 მმ. სისქის მონოლითური რკინაბეტონის გადახურვის ფილა. საპროექტო შენობის მომიჯნავე (შპს „თეგეტა მოტორსი“-ს სათაო ოფისის შენობა) შენობაში, სარდფის სართულის დონეზე, ეწყობა ლითონის კონტრფორსები (სულ 5 – კონტრფორსი).

ლითონის კარკასის მზიდი კონსტრუქციული ელემენტების კომპიუტერული ანგარიში შესრულრბულია ქარხანა დამამზადებლის, თურქული კომპანია „Tekmetsan Demir Çelik“-ის მიერ, რომლის საფუძველზეც დამუშავებულ იქნა

„Porsche“-ს სერვის ცენტრის ლითონის კარკასის კონსტრუქციული სქემები: კარკასის ელემენტების განლაგების გეგმები 0,000 და 5,510 ნიშნულებზე და სახურავის ელემენტების განლაგების გეგმა 9,520 ნიშნულზე; კარკასის ელემენტების განშლები ღერძების მიხედვით, ელემენტების კვეთების დაფიქსირებით (სულ 12 ფურცელი). ლითორნის კარკასის ჩარჩოების სვეტებად შერჩეულია IPE500 ნიშანდების ორტესებრი პროფილები, ხოლო ჩალანგარის სვეტებად კი HEA220 ნიშანდების ორტესებრი პროფილები; სართულშუა გადახურვის კოჭებად განივი მიმართულებით შერჩეულია IPE360 ნიშანდების ორტესებრი პროფილები, ხოლო გრძივი მიმართულებით კი IPE200 ნიშანდების ორტესებრი პროფილები; სახურავის კოჭებად შერჩეულია IPE360 ნიშანდების ორტესებრი პროფილები, ხოლო სახურავის გრძივებად CC200-3-22-85 ნიშანდების გაღუნული პროფილები. სართულშუა გადახურვა შესრულებულია ლითონის პროფფენილებზე მოწყობილი ე.წ. „ლითონრკინაბეტონი“-ს ფილით. ზემოაღნიშნული კარკასის სქემისა და „LIRA sapr 2015 R3“ კომპიუტერული საანგარიშო კომპლექსით ჩატარებული ანგარიშით მიღებული ძალვების მიხედვით, შპს „გრავიტა“-ს საპროექტო ჯგუფის კონსტრუქტორთა მიერ შრჩეულ და დამუშავებულ იქნა მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციული ელემენტების კვეთები და არმირება: ლითონის კარკასის შენობა გრუნტზე დაფუძნებულია მონოლითური რკინაბეტონის 600 მმ სისქის საძირკვლის ფილით. ტექნოლოგიური პროცესების გათვალისწინებით პროექტში დამუშავებულია „კასეტების კაფსულები“-ს, სანიაღვრე არხების და ნამწვი აირების საკომუნიკაციო ჭების დეტალები და არმირება, ასევე „პორშე“-ს არსებული შენობის ინტერიერში (შპს „თეგეტა მოტორსი“-ს სათაო ოფისის შენობა) მოსაწყობი ლითონის კარკასისა და მონოლითური რკინაბეტონის კიბის დეტალები.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალები შესწავლილ იქნა პროექტის კონსტრუქციულ ნაწილთან ერთობლიობაში, კონსტრუქციული ნაწილი კი დეტალურად. პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ანალიზური შესწავლის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ პროექტი დამუშავებულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნათა გათვალისწინებით, მაგრამ, ექსპერტს მის მიმართ გააჩნია შემდეგი სახის შენიშვნები:

– ფურცელი კ-3. საძირკვლის ფილის „კვეთი 3-3“-ზე დაფიქსირებული „პოზიცია-6“ ნაწილობრივ აკმაყოფილებს პროექტირების ნორმების – „СП

63.13330.2018 Бетонные и железобетонные конструкции. Основные положения“-ს („წესების კრებული. ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“) 10.4.9 პუნქტის მოთხოვნას, საძირკვლის ფილის კონტურზე ჩამკეტი „П“-ს მაგვარი ღეროების მოწყობის თაობაზე, რომლებიც უნდა მოეწყოს ფილის კონტურზე, მაგრამ ღეროების ჰორიზონტალური ნაშვერები (ჩაანკერების სიგრძე) უნდა იყოს ფილის სისქის ორმაგი სიდიდის ტოლი, ჩვენს შემთხვევაში 600 მმ. სისქის ფილისათვის ჰორიზონტალური ნაშვერების სიგრძე უნდა იყოს 1200 მმ-ის ტოლი, ნაცვლად სპეციფიკაციაში დაფიქსირებული 500 მმ-ისა. ზემოაღნიშნული შენიშვნა ეხება „კ-12“ ფურცელზე დამუშავებულ „კვეთი 4-4“-ის დეტალსაც („პოზიცია-4“), რომლის ჰორიზონტალური ნაშვერი ნაცვლად 550 მმ-ისა უნდა იყოს 1000 მმ. შესაბამისად „П“-ს მაგვარი ღეროების დაფიქსირებული ცვლილებები ასახული უნდა იქნას არმატურის სპეციფიკაციაშიც.

– „ფურცელი კ-12“. კედლის თავში (ნიშნული 9,10) არმატურის ღეროები (პოზიცია-1) უნდა შეიკრას „П“-ს მაგვარი ღეროებით (ნაშვერებით 400÷400 მმ.).

ექსპერტის მიერ დაფიქსირებული შენიშვნების გათვალისწინები ან დასაბუთებულად უარყოფის შემთხვევაში საექსპერტოდ წარმოდგენილი „Porsche“-ს სერვის ცენტრის პროექტის პროექტის ფუძეებს, საძირკვლებსა და სხვა ძირითად კონსტრუქციებს მიეცემა დადებითი შეფასება მშენებლობის დაწყების ნებართვის მისაღებად.

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტი ინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე

საკ. ტელ: 5.77 757 028; 5.98 922 254

გავეცანი კონსტრუქტორის პასუხებს ექსპერტის შენიშვნებზე, პასუხები მისაღებია. ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კილომეტრზე (საჯარო რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №129), შპს „თეგეტა მოტორსი“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი № 01.72.14.013.442)

დაპროექტებული „Porsche“-ს სერვის ცენტრის პროექტის ფუძეებს, საძირკვლებსა და სხვა ძირითად კონსტრუქციებს ეძლევა დადებითი შეფასება მშენებლობის დაწყების ნებართვის მისაღებად.

შპს „ბალავერი“-ს დირექტორი მ. გეგია

ექსპერტიინჟინერ-კონსტრუქტორი რ. აფხაძე

31.01.22